

ერეკლე II-ის მიერ ბოდბელი მღვდელმთავრისთვის მირთმეული ქსოვილების ნუსხა

ჩემს მეგობრებთან ერთად ვათვალიერებდი სხვადასხვა საინტერესო ხელნაწერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. სუფევდა მშვიდი გარემო, უამრავი საინტერესო ექსპონატი იქცევდა ჩვენს ყურადღებას. ერთ-ერთი განყოფილება სრულად ჰქონდა დათმობილი ქართლ-კახეთის ლეგენდარულ მეფეს - ერეკლე მეორეს - „ღერკულესი - უძლეველი მეფე“, როგორც მას უწოდა ერთგულმა თანამებრძოლმა, სოლომონ ლიონიძემ, და რომლის შესახებაც პრუსიის მეფე, ფრიდრიხ II ამბობდა, აღმოსავლეთში - ერეკლე, დასავლეთში - მე ვარო.

ერეკლე მეფემ პირველ ბრძოლაში 15 წლისამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. იმეფა 54 წელი, შეზღუდა თავნება თავადები, დაასახლა აოხრებული რაიონები, შექმნა მუდმივი ჯარი, ააშენა ფაბრიკა-ქარხნები, ხელი შეუწყო მსხვილი სახელოსნოებისა და ვაჭრობის განვითარებას, უალრესად შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა ფეხზე დააყენა, მიუხედავად დაუსრულებელი გარეშე მტრებთან ომებისა.

ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია ერთ-ერთმა ხელნაწერმა, რომელიც ერეკლე მეორის მიერ ბოდბელი მღვდელმთავრისთვის მირთმეული ქსოვილების ნუსხას ეხებოდა.

ხელნაწერის პირველადი გაცნობის დროს თვალში მომხვდა დოკუმენტში ჩამოთვლილი ქსოვილების სიუხვე, მრავალფეროვნება და წარმომავლობა: მუსჯირი, სტამბოლის დებაგი, მაღალი ხარისხის ფრანგული თეთრი ფერის ქსოვილი, რომელიც მეფე ერეკლეს დროს ყველაზე გავრცელებული ჩასაცმელი იყო, ჩაქსოვილი ატლასი, სალბის ატლასი, მწვანე ტოლნული, ხორბლის მწე, გაზიდური, სპარსული სტავრა, ზარბაბთი, განჯის ტოლნული და კიდევ მრავალი სახეობის ოქრომკედით ნაქარგი ფარჩა-ატლასი.

ზოგიერთი დასახელების მნიშვნელობა მეცნო, ზარბაბთი - აბრეშუმის ძვირფასი ოქროქსოვილი. ფარჩა - (თურქული) ქართულად ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი. დიბა - საუკეთესო ხარისხის აბრეშუმი - დებაგი. მივხვდი, რომ ჩამოთვლილთაგან უმეტესობა უცხოეთიდან შემოტანილ ძვირფას ქსოვილს წარმოადგენდა.

ჩემთვის ცნობილია, რომ ქსოვილების წარმოება საქართველოში შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. უძველეს დროში ჩვენი ქვეყნიდან უცხო ბაზარზე გაჰქონდათ აბრეშუმი-იგივე ჭიჭნაური. ქართველები მატყლისგან ამზადებდნენ საუკეთესო შალის ქსოვილებს. აქვე მზადდებოდა აგრეთვე ქსოვილები სელისგან და სხვა მცენარეებისგან. ერეკლე მეფის დროინდელ ქართულ ბაზარზე კი, როგორც ხელნაწერიდან მივხვდი, მრავლად ყოფილა უცხო ქვეყნიდან შემოსული ძვირფასი ქსოვილები, რაც იმისი მაუწყებელია, რომ საქართველოსთან გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონიათ ფრანგ, ირანელ, თურქ, სპარსელ ვაჭრებს. ქსოვილების შემოტანა ხდებოდა აგრეთვე განჯიდანაც, ხელნაწერში მოხსენიებულია „განჯის ტოლნული.“

გონებაში აღვიდგინე ერეკლე მეორის დროინდელი ეპოქა. გავიხსენე, რომ ერეკლე მეორემ ქართული ხელისუფლების გავლენა აღადგინა ერევანზე, ნახჭევანზე და სამხრეთ კავკასიის სხვა სახანოებზე. 1760 წელს დაამარცხა ყარაბაღის ხანი და აღადგინა ქართული სამეფოს გავლენა განჯაზე. ასევე გაიუმჯობესა ურთიერთობა ირანის მზრძანებელ ქერიმ ხანთან. ცხადია, ეს ურთიერთობები ხელს შეუწყობდა სავაჭრო ურთიერთობების აღდგენას. ისტორიულად ცნობილია, რომ სამხრეთ კავკასიელმა ვაჭრებმა დაიწყეს ერეკლე მეორის ქვეშევრდომობაში შესვლა. ისიც ცნობილია, რომ ვაჭრობის განვითარების მიზნით ერეკლე მეფემ 1750 წელს ამოქმედა დარიალის გზა და ამ გზაზე შეღავათიანი ბაჟი დააწესა. მეფის ამ ქმედებამ ხელი შეუწყო საქართველოში ვაჭრობის სწრაფ აღმავლობას. სხვა საქონელთან ერთად ამ გზით დიდი რაოდენობით ქსოვილი შემოჰქონდათ და გაჰქონდათ უცხოელ ვაჭრებს, ფრანგებს, ესპანელებს. ინდოელ ვაჭრებს კი სურვილი გასჩენიათ, რომ საქართველოში გაეხსნათ ბამბის საწარმო.

საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ერეკლე მეფე ხელს უწყობდა აგრეთვე სახელოსნოებისა და საამქროების გახსნას, მისი მეფობის დროს საქართველოში რამდენიმე ასეული საამქრო დაუარსებიათ. სწორედ ამისი შედეგი უნდა ყოფილიყო ხელნაწერში ჩამოთვლილი ქსოვილების სიუხვე და მრავალსახეობა. მითუმეტეს, რომ საქართველო ოდითგან წარმოადგენდა სატრანზიტო გზას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, აქ გადიოდა ცნობილი აბრეშუმის გზა და მეფის მხრიდან გაწეული სამსახური და ხელის შეწყობა, რა თქმა უნდა წინ წამოსწევდა ქვეყნის ვაჭრობას და ხელოსნობას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებას.

ხელნაწერში ჩემი ყურადღება მიიქცია აგრეთვე ქსოვილის ფერებმა, აქ მოხსენებულია მწვანე ტოლნული. დავინტერესდი, რა ფერებს იყენებდნენ ძველი ქართველები და უცხოელი ოსტატები ქსოვილის შესაღებად, რას იყენებდნენ საღებავ მასალად. ამისათვის ვესტუმრე ხელოვნების მუზეუმს და მოვინახულე ქართული სამოსის სექცია. გამაოცა სამოსის მკვეთრმა და კაშკაშა ფერებმა. დავინტერესდი მეფეთა შესამოსელით, რომელიც ძვირფასი აბრეშუმის, ხავერდის და შალის ქსოვილით იყო დამზადებული. ძვირფას სამოსს ძირითადად ამშვენებდა ოქროქსოვილი და არაჩვეულებრივად ნაქარგი ორნამენტები, რაც ქართული ხელსაქმის უმაღლეს დონეზე განვითარებას მოწმობს. საღებავებად თურმე უწინდელი ქართველები მცენარეების ფოთლებს და ფესვებს იყენებდნენ. ძვირფას სამოსში ძირითადად ჭარბობდა მუქი მეწამურისფერი, ლურჯი, მწვანე და ოქროსფერი. სურვილი გამიჩნდა, რომ ქართული სამეფო ქსოვილების ფერები და ულამაზესი ნაქარგი ორნამენტები დამკვიდრდეს თანამედროვე სამოსზე.

ერეკლე მეორე ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ეკლესიის გაძლიერებას და განმტკიცებას, რადგან, ძალიან კარგად იცოდა, რომ ქართველი კაცის სულიერი სიმტკიცე და გამძლეობა სწორედ რწმენაზე იყო დაფუძნებული. მეფემ კათალიკოსთან ერთად შეიმუშავა საეკლესიო განჩინება, რომელიც ხელს უწყობდა ეკლესიის მოშლილი საქმეების მოწესრიგებას. განჩინება ითვალისწინებდა საეკლესიო პირების განსწავლულობას, ეკლესია-მონასტრების მოვლას, ალბათ ამ მიზნით მიიღო მეფური წყალობა ბოდბის მღვდელმთავრის მიმართ და უწყალობა მონასტერს ძვირფასი ქსოვილები, რა თქმა უნდა, ეს ფაქტი ერთგვარ მხარდაჭერას და ზრუნვას წარმოადგენდა მეფის მხრიდან და ეკლესიის მესვეურთათვისაც სტიმული ინდა ყოფილიყო, რომ უნწიკვლოდ და უანგაროდ ჩამდგარიყვნენ მეფისა და ხალხის სამსახურში.

ქართული ეკლესია ყოველთვის გამოირჩეოდა სულიერი სიმდიერით, ადამიანების გვერდში დგომით, აღმშენებლობით ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. ამას მოწმობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აშენებული უამრავი ეკლესიები და მონასტრები, თუმცა თავისი ძვირფასი შესამოსელისთვის რიგით მღვდელ-მონაზონს არასდროს ჰქონდა საშუალება. დარწმუნებული ვარ, ბევრი მსახურებას აღავლენდა გაცრეცილი ანაფორით და მე უკვე წარმომიდგენია, რამდენად გაახარებდა ბოდბელ ეპისკოპოსს ასეთი ძვირფასი საჩუქარი მეფისგან.

მილოცვის ავტორი: ბარბარე ბეგიაშვილი

ასაკი: 15 წლის

ქალაქი: თბილისი

სკოლა: 63 საჯარო სკოლა

კლასი: მეათე